პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 117 (5147)

1974 წ. 15 ივნისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## რეკორდი

პოტსდამი, 14 ივნისი. ქალთა [illegible] შეჯიბრებაში პოლონელმა ი. შევინსკამ დაიბრუნა მსოფლიო რეკორდი 200 მეტრზე რბენაში. ამ შესანიშნავმა ვარშაველმა მძლეოსანმა მანძილი 22 წამში დაფარა და 0,1 წამით გააუმჯობესა რ. შტეჰერის (გდრ) ძველი მიღწევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლელოს“ ინტერვიუ

# თვითმფრინავის ტრაპზე ასვლის წინ

# „დიდი მადლობა!“

ჩვენს დედაქალაქში ოთხ დღეს იყო სტუმრად უცხოელ ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი ფ. ტეილორი. სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობები, სპორტული ბაზები, იყვნენ მცხეთასა და ფასანაურში. თბილისიდან გამგზავრებისას, თვითმფრინავის ტრაპზე ასვლის წინ „ლელოს“ კორესპონდენტმა შთაბეჭდილებების გაზიარება სთხოვა ჯგუფის ზოგიერთ წევრს.

ფ. ტეილორი (ინგლისი): ჟურნალისტთა, კერძოდ, სპორტულ ჟურნალისტთა ასეთი კონტაქტები ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა დაახლოება-დამეგობრებას. მე და ჩემმა კოლეგებმა ბევრი საინტერესო რამ ვნახეთ საბჭოთა ქვეყანაში. სპორტს მართლაც დიდი ყურადღება ექცევა თქვენში.

აღფრთოვანებული დავრჩით ქართული სტუმართმოყვარეობით. გაგვაკვირვა მსოფლიოში უძლიერეს ქართველ სპორტსმენთა — ოლიმპიურ, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონთა სიმრავლემ.

გამგზავრების წინ მინდა დიდი მადლობა გადავუხადო მასპინძლებს ასეთი გულთბილი და დასამახსოვრებელი მიღებისთვის.

მ. კიუზი (იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სპორტული რედაქტორი, აშშ): იმან, რაც საბჭოთა ქვეყანაში ვნახე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ძალიან მოგვეწონა მოსკოვი, კიევი, მოვიხიბლეთ თბილისით და თბილისელებით. ქართველები ხალისიანი, სტუმართმოყვარე ხალხი ყოფილა. ყველაფერს, რამაც აღმაფრთოვანა, სიამოვნებით გადავცემ ჩემს მეგობრებს, კოლეგებს.

ს. მარტინი (ირლანდიის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის გენერალური მდივანი): მე გამაკვირვა საქართველოში სპორტის ეროვნულ სახეობათა განვითარების მაღალმა დონემ. დაწვრილებით გავეცანი თქვენს ეროვნულ თამაშს ლელოს, რომელიც კლასიკურ რეგბის ძალიან წააგავს. მინდოდა მენახა ლელობურთის თამაში, მაგრამ ჩვენი სტუმრობის დღეები იმდენად გადატვირთული იყო მეგობრული შეხვედრებით, რომ ეს არ მოხერხდა. ქართველი კოლეგები დამპირდნენ, ლელოს სათამაშო ბურთსა და წესებს დუბლინში გამოგიგზავნითო. ირლანდიის რეგბისტები ხშირად ეთამაშებიან საფრანგეთის ნაკრებს. არ ვიცი, თქვენთვის ცნობილია თუ არა, რომ საფრანგეთის გუნდის უძლიერესი მოთამაშე თქვენი თანამემამულე მიშელ იაშვილია.

გულისტკივილით ვტოვებ თქვენს მშვენიერ დედაქალაქს, სტუმართმოყვარე ქართველ კოლეგებს.

უ. კარლსონი (შვეციის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის გენერალური მდივანი, ჟურნალ „სვენსკ იდროტის“ რედაქტორი): ჩემი ქვეყნის მოჭიდავეთა ჰეგემონიას ევროპის ასპარეზზე ბოლო მოუღო საბჭოთა ათლეტების ტრიუმფულმა წინსვლამ. მაშინ საბჭოთა ნაკრების წევრთა უმრავლესობას ქართველი მოჭიდავეები შეადგენდნენ. არ ვიცნობდი მხოლოდ სპორტის ამ სახეობის ქართული სკოლის საქმიანობის, წარმატებათა მოპოვების საიდუმლოებებს. იმან, რაც თბილისში, ფალავანთა კლუბში ვნახე, ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. საქართველო მართლაც ფალავანთა რესპუბლიკა ყოფილა. ამდენი მოჭიდავე, რამდენიც იმ დღეს ვარჯიშობდა და მაღალ ტექნიკას გვიჩვენებდა, ალბათ ბევრ ქვეყანას შემურდებოდა.

ჯ. კანსინი (გაზეთ „მონრეალ სტარის“ სპორტული რედაქტორი, კანადა): მე ასეთი მეგობრული კონტაქტების დიდი მომხრე ვარ. თქვენს რესპუბლიკაზე წარმოდგენაც არ მქონდა, აქა-იქ პრესაში თუ წამეკითხა ცოტა რამ. მართლაც დიდი სპორტული ტრადიციების რესპუბლიკა ყოფილა საქართველო! მომხიბლა თბილისელების გულღია ხასიათმა, სტუმართმოყვარეობამ.

ოკოტუმბო (ნიგერიელი ჟურნალისტი): ეს იყო ჩემი პირველი მოგზაურობა თქვენს ქვეყანაში, პირველი ნაცნობობა საბჭოთა ადამიანებთან. შთაბეჭდილება უდიდესია. ყველგან იგრძნობა თქვენი მისწრაფება სხვადასხვა ქვეყნის ხალხთან მეგობრობისკენ.

ღვინის მოყვარული კაცი არა ვარ, მაგრამ ახლა კარგა მოზრდილი სასმისით ბევრჯერ შევსვი თქვენი მშვენიერი დედაქალაქის, აქაური კოლეგებისა და ახალშეძენილი მეგობრების სადღეგრძელო. იმას, რაც აქ ვნახე და განვიცადე, აუცილებლად გადავცემ ნიგერიელ ხალხს, რომელიც დიდი სიმპათიითაა გამსჭვალული საბჭოთა ქვეყნის, საბჭოთა ადამიანების მიმართ.

ჰ. სალმენკიულა (ფინეთის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი): შთაბეჭდილება უდიდესია. ამ ოთხ დღეში ისე დავუმეგობრდი ქართველ კოლეგებს, იმდენად სასიამოვნო იყო თქვენთან გატარებული დღეები, კინაღამ ქართველოლოგი გავხდი: დავიზეპირე ბევრი ქართული სიტყვა და მინდა ქართულად გითხრათ: დიდი მადლობა!

უცხოელ სტუმრებს დავემშვიდობეთ. თვითმფრინავმა კურსი მოსკოვისკენ აიღო. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია ვთქვათ, რომ ასეთი მეგობრული კონტაქტები მართლაც დიდად უწყობს ხელს ხალხთა შორის ურთიერთგაგებას, მტკიცე მშვიდობის დაფუძნებას ჩვენს პლანეტაზე.

# კიდევ გამარჯვება

ნიცაში (საფრანგეთი) გრძელდება ბრძოლა XXI საჭადრაკო ოლიმპიადის ნახევარფინალურ ჯგუფებში. თავიანთ ტურნირებში ლიდერობენ სსრ კავშირის, აშშ-ს, იუგოსლავიის, უნგრეთის, გფრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, ფილიპინებისა და არგენტინის გუნდები.

სსრ კავშირის გუნდი, რომელიც პირველ ჯგუფში თამაშობს, V ტურში პოლონეთის ნაკრებს შეხვდა და გაიმარჯვა — 3:1. ამ ჯგუფის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: უელსი — ბრაზილია 1,5:2,5, შოტლანდია — პუერტო-რიკო 3,5:2,5.

VI ტურში საბჭოთა მოჭადრაკეთა მეტოქეები ბრაზილიელები იყვნენ. დიდი ინტერესი გამოიწვია სპასკისა და მეკინგის შეხვედრამ. მაგრამ მოწინააღმდეგეებმა ნამდვილ ბრძოლას თავი აარიდეს და მე-20 სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. ტალი დაუზავდა ვან რიმსდიკს, ხოლო კუზმინმა სძლია მეტოქეს. ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 2:1 სსრ კავშირის გუნდის სასარგებლოდ. დაუმთავრებელია პეტროსიან — კამარას შეხვედრა.

სხვა მატჩების შედეგები ასეთია: პუერტო-რიკო — ანტილის კუნძულები 1,5:0,5 (2), პოლონეთი — შოტლანდია 0,5:1,5 (2), მონგოლეთი — უელსი 0,5:0,5 (3).

საბჭოთა დიდოსტატებს 20,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვთ. ფინალის მეორე საგზურის პრეტენდენტს — უელსის გუნდს 16 ქულა და 3 გადადებული პარტია აქვს.

* * *

ნიცა, 14 ივნისი. პირველ ნახევარფინალურ ჯგუფში დამაჯერებლად ლიდერობს საბჭოთა ნაკრები, რომელსაც წინასწარი ტურნირის ბოლო ტურის წინ 23,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს. VII ტურში მან ანგარიშით 2,5:0,5 სძლია მონგოლეთის ნაკრებს. სპასკიმ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა, კორჩნოიმ და ტალმა გაიმარჯვეს, კუზმინს კი პარტია დასამთავრებელი აქვს.

ამ ჯგუფის დანარჩენი შეხვედრები: პოლონეთი — ანტილის კუნძულები 4:0, შოტლანდია — ბრაზილია 1,5:1,5 (1), პუერტო-რიკო — იორდანია 3:1. უელსელები ისვენებდნენ.

# სტარტი აღებულია

ტირასპოლი, 13 ივნისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). კავშირების სახლის საქტო დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა XXXV ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირი. წილისყრით სატურნირო ცხრილი ასე შეივსო: 1. ოსტატობის კანდიდატი ნ. ჩერნოვა (ლენინგრადი), 2. ოსტატობის კანდიდატი ნ. ალაბაბიანი (სტეპანაკერტი), 3. ოსტატობის კანდიდატი ს. იაკოვლევა (ალმა-ათა), 4. ოსტატი თ. ხუგაშვილი (თბილისი), 5. ოსტატობის კანდიდატი ი. ბერზინია (რიგა), 6. საერთაშორისო ოსტატი კ. ზვორიკინა (მინსკი), 7. ოსტატობის კანდიდატი ვ. როჟლაპა (რიგა), 8. ოსტატი მ. ჩიბურდანიძე (თბილისი), 9. ოსტატობის კანდიდატი ტ. კოსტინა (მინსკი), 10. ა. კორონსენე (ვილნიუსი), 11. ოსტატობის კანდიდატი ნ. დრელი (ლენინგრადი), 12. ოსტატობის კანდიდატი ლ. გოლდმანი (ტაშკენტი), 13. ოსტატობის კანდიდატი ხ. კრუსიაუკი (ტალინი), 14. ოსტატი ბ. მოსიონჟიკი (კიშინიოვი), 15. ოსტატი ა. მუსლიმოვა (ალმა-ათა), 16. ოსტატობის კანდიდატი ტ. ფომინა (ტალინი).

I ტურში ალაბაბიანმა მოუგო მუსლიმოვას, იაკოვლევამ — მოსიონჟიკს, ხუგაშვილმა — კრუსიაუკს, ზვორიკინამ — დრელს, როჟლაპამ — კორონსენეს. ყაიმით დამთავრდა ჩიბურდანიძე — კოსტინას და ბერზინია — გოლდმანის შეხვედრები.

მ. შიშოვი,

სპორტის ოსტატი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

# „მსოფლიო ჩემპიონთა პრიზი“ —თბილისელ მოსწავლეებს

მოგილიოვი, 14 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა „თეთრი ეტლის“ საკავშირო გათამაშება „მსოფლიო ჩემპიონთა პრიზზე“ პიონერთა რაზმეულებს შორის. ტურნირში 20 გუნდი მონაწილეობდა, ფინალში პრიზისთვის 7 საშუალო სკოლის კოლექტივები იბრძოდნენ.

„მსოფლიო ჩემპიონთა პრიზი“ მოიპოვა თბილისის № 1 ექსპერიმენტული საშუალო სკოლის გუნდმა (გ. ხომერიკი, ი. კუზმინი, ბ. გოროზია, ა. თოფურია, თ. ებანოიძე), რომელმაც 17,5 ქულა მოაგროვა.

II ადგილზე არიან პლუნგეს 1-ლი (15 ქულა), III — რიგის 1-ლი საშუალო სკოლების წარმომადგენლები (13,5).

ფინალურ ტურნირში საუკეთესო შედეგი ჰქონდა თბილისელ თ. ებანოიძეს — 5 ქულა 5-დან.

რ. თავარიანი,

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

## საკავშირო შესარჩევი

დაუგავპილსი (ლატვია), 12 ივნისი. აქ დაიწყო სსრ კავშირის ვაჟთა 42-ე ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. ბრძოლაში 64 მოჭადრაკე მონაწილეობს. მათ შორის არიან დიდოსტატები ვ. ანტოშინი, ი. ბალაშოვი, ა. გიპსლისი, ბ. გურგენიძე, ა. ლუტიკოვი, ი. პლატონოვი, ა. სუეტინი, აგრეთვე, 6 საერთაშორისო ოსტატი, 45 ოსტატი და 6 ოსტატობის კანდიდატი.

ტურნირი, რომელიც შვეიცარიული სისტემით (13 ტური) ტარდება, 29 ივნისამდე გაგრძელდება. გამარჯვებული მოჭადრაკე სსრ კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ითამაშებს. II-VII ადგილებზე გასულნი პირველი ლიგის ტურნირში დაიშვებიან.

## თამაში არ შედგა

კისლოვოდსკი, 12 ივნისი. ვ. კოზლოვსკაიამ (პიატიგორსკი) ავადმყოფობის გამო დღეს ვერ ითამაშა VIII პარტია ი. ლევიტინასთან (ლენინგრადი) ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში.

ვასილ გვეტაძე

# ო, არ იქნება ახლაც გვიანი

ღია ბარათი ქართველ ფეხბურთელებს

არა, არ აწყენს განსჯა არავის,
კილვა კი მარტო მტრებმა იციან...
მაგრამ რაღაა დასაფარავი:
თქვენი თამაში ველარ გვიცვნია.

გული რად არ სცემს თრთოლვით, ფართქალით,
ბოლოს რომ შევრჩით გაბმულ ქარავანს?
ნუ გეწყინებათ მოყვრის ნათქვამი
და კმაყოფილი მართლა არა ვართ!

თქვენც გვერწმუნებით, ალბათ, ამაში...
თუმც რას გვიშველის ახლა ყვედრება...
უფერულია ყველა თამაში,
თუ ფიცხელ ბრძოლას არ დაედრება.

როცა ასეა, სულში იპრება
სხვა სილამაზე გაუხუნარი...
თქვენ კი თამაშობთ ისე, ბიჭებო,
და დაგკარგვნიათ ბრძოლის უნარი.

რატომ? რა ნებით? რა სახწაულით?
გვყავხართ და თითქოს აღარც გვყოლოდეთ!
დროა, შეცვალოს უქმი ხმაური
ლელოს გატანის სწრაფვამ ბოლომდე.

აღდგეს, აღენთოს სული ისევე,
დიდ გზებს ამ სულით მაინც მოვიართ,
თორემ იჭვები იჭვებს გვიხევენ
და ვკარგავთ, სიმწრით რაც გვიპოვია.

ფიქრობთ: ვიცვალეთ იქნებ გუნება,
ან გატაცებას მივდევთ ჟინიანს?
ავად მძრახველი ვინ გეგულებათ?
რამ შეგაშინათ? რის გეშინიათ?

ო, არ იქნება ახლაც გვიანი,
რომ კვლავ ვიხილოთ სხვაგვარ იერით,
ბურთთან ჭიდილი ასათიანის
და ყიფიანის დარტყმა ძლიერი;

რომ ხურცილავა, აგერ, აქამდე,
რკინის კედელი გაუბზარველი,
ტყვიის სილაღით ველზე გაქანდეს —
იქ გაიელვოს, სადაც არ ელი;

რომ მოედანზე ბუქად ბრუნავდეს
კორიანტელი დაუნახველი
და დაგდიოდეთ მუდამ გულამდე
ჩუმი ხსენებაც წარსულ სახელის...

# მედლების ბოლო კომპლექტი

მინსკი, 12 ივნისი. აქ გათამაშდა ფარიკაობაში სსრ კავშირის ჩემპიონატის მედლების ბოლო კომპლექტი. ოქროს ჯილდო წილად ხვდა შეიარაღებული ძალების რაპირისტთა კოლექტივს, რომელმაც გუნდური ასპარეზობის ფინალში ანგარიშით 9:7 სძლია „ბურევესტნიკს“. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. პუტიატინმა (კიევი) ყველა ორთაბრძოლა მოიგო. მის გარდა არმიელთა გუნდში გამოდიოდნენ ა. კოტეშევი (მინსკი), ვ. დენისოვი (გორკი), ი. ჩიჟი (კიევი) და ა. ლიტოვი (მოსკოვი).

# საუნინა მეორეა

პოლონეთის ქალაქ პიოტრკუვ-ტრიბუნალსკში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. გაიმარჯვა გდრ-ის წარმომადგენელმა ტ. ჰოფმანმა, რომელმაც 10,5 ქულა დააგროვა 12-დან. 9,5 ქულით II ადგილი დაიკავა რსფსრ-ს ექს-ჩემპიონმა, საერთაშორისო ოსტატმა თ. საუნინამ.

# ხიბულელთა სიტყვა და საქმე



ამ გოგონებს, ალბათ შეამჩნიეთ, კმაყოფილი სახეები აქვთ. კმაყოფილია მათი მწვრთნელი მოკონა ქვარაიაც. ხობის რაიონის სოფელ ძველი ხიბულის საშუალო სკოლის ფრენბურთელთა გუნდმა, რომელიც სამჯერ პირველი იყო რაიონის მოსწავლეთა ტურნირებში, ახლა II ადგილი დაიკავა რესპუბლიკის მოსწავლეთა ზონალურ სპარტაკიადაში სოხუმის საკმაოდ ძლიერი ნაკრების შემდეგ.

სპორტში ყოველგვარი გამარჯვება სასახელოა. ხიბულელი გოგონებისთვის, ცხადია, ეს დიდ დაუვიწყარი იქნება, ვინაიდან მათ თავიანთი ხანმოკლე კარიერის მანძილზე პირველ სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს.

რა ვუყოთ, რომ მათი მჯობნი ჩვენს ფრენბურთში ჯერ კიდევ ბლომად არიან. ყველა რესპუბლიკის ჩემპიონი ხომ არ იქნება! გზა დიდ სპორტში სწორედ ასეთი „უმნიშვნელო“ გამარჯვებებით იწყება და ერთ მშვენიერ დღეს, ადვილი შესაძლებელია, ეს სახეგაბრწყინებული გოგონები უძლიერესთა რიგებშიც ვიხილოთ.

ყოველ შემთხვევაში, ხიბულელი ენთუზიასტების მწვრთნელი მ. ქვარაია ღრმადაა დარწმუნებული, რომ მისი შრომა ადრე თუ გვიან უფრო დიდ ნაყოფს გამოიღებს. ქვარაია საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების II კურსის სტუდენტია, გამრჯე და ენერგიული ახალგაზრდა გახლავთ. ასეთები სიძნელეებს არ უშინდებიან. ამიტომ როცა მის გეგმებს ისმენ, გჯერა, რომ მწვრთნელი სიტყვას უეჭველად საქმედ აქცევს.

**ც. ფცქიალაძე.**

სოფ. ძველი ხიბული,
ხობის რაიონი.

* * *

**სურათზე:** ძველი ხიბულის საშუალო სკოლის ფრენბურთელთა გუნდი. პირველ რიგში (მარცხნიდან) — მედეა ქავთარაძე, ზ. თირქია, მ. ჩუხუა, ლ. ქვარაია. დგანან — მ. თირქია, რ. კვარაცხელია, ჯ. კონჯარია, მზია ქავთარაძე და სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი, გუნდის მწვრთნელი მ. ქვარაია.

# სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ორგანიზაციისთვის

**მეთოდური მითითებანი**

### სწრაფგამძლეობა

სწრაფგამძლეობის გამომუშავება და სრულყოფა განმეორებითი და ინტერვალური მეთოდებით ხდება. განმეორებით რბენისას დრო არ უნდა აღემატებოდეს 10-15 წამს, ინტენსიურობა კი მაქსიმალურთან მიახლოებული უნდა იყოს. შესვენებისთვის ინტერვალი 2-3 წუთია, განმეორებათა რაოდენობა — 3-4. მაგალითისთვის შეიძლება ავიღოთ 100 მეტრზე რბენა მაქსიმალურთან მიახლოებული სისწრაფით, ყოველი გამეორების შემდეგ 2-3-წუთიანი შესვენებით.

ინტერვალური მეთოდით ვარჯიშის დროს ხანგრძლივობა 10 წამს არ უნდა აღემატებოდეს, ვარჯიში საჭიროა მაქსიმალურთან მიახლოებული სისწრაფით. ინტერვალური შესვენება 15-30 წამია. ვარჯიში სრულდება სერიებად, თითოეულში 3-4 გამეორებით, სერიებს შორის 3-4-წუთიანი შესვენებებით. ერთ ვარჯიშში შეიძლება შესრულდეს 2-3 სერია. მაგალითად, თუ ფეხბურთელმა 50 მეტრი გაირბინა მაქსიმალურთან მიახლოებული სისწრაფით, შემდეგ ამავე მანძილს გაირბენს ძუნძულით, მერე გაიმეორებს ცდას და ა. შ.

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 108, 109, 114.

### მოქნილობის სრულყოფა

მოქნილობის განმავითარებელი ვარჯიში ფეხბურთელისთვის აუცილებელია. ეს ავითარებს მოძრაობის ამპლიტუდას და იცავს სპორტსმენს კუნთების დაჭიმვის ან დაწყვეტისგან.

მოქნილობის გასავითარებლად გამოიყენება შემდეგი სპეციალური ვარჯიშები:

ა) აქტიური თავისუფალი მოძრაობები ამპლიტუდის თანდათანობით ზრდით. მაგალითად, წინ დახრა ტანის უკიდურეს ზღვარამდე და გამართვა;

ბ) განმეორებითი ზამბარისებური მოძრაობები გაჭიმვის ინტენსივობის ზრდისთვის. მაგალითად, ტანის ზამბარისებური გადახრები გვერდზე;

გ) ტანის რომელიმე ნაწილის ინერციის გამოყენება, მაგალითად, ფეხის გაქნევა წინ;

დ) შემდეგი კონკრეტული დავალებები: ფეხის წინ აქნევა მკერდის სიმაღლეზე გაშლილ ხელისგულებზე შეხებით, წინ დახრა ხელით მიწაზე ან იატაკზე შეხებამდე და ა. შ.;

ე) მოძრაობები საყრდენის გამოყენებით. ტანის მიზიდვა ხელით, მაგალითად, ფეხებამდე, ტანვარჯიშულ კედელთან ვარჯიში და ა. შ.

ვარჯიშები მოქნილობის გამოსამუშავებლად უმეტესად საჭიროა მოთელვის დროს.

IV

### რამდენიმე ვარჯიში ტექნიკისა და ტაქტიკის სრულყოფისთვის

გავითვალისწინეთ რა რესპუბლიკის მწვრთნელთა სურვილები, მოგვყავს რამდენიმე ვარჯიში ტექნიკისა და ტაქტიკის სრულყოფისთვის. ამ ვარჯიშების შედგენისას ვისარგებლეთ ოსტატთა გუნდების მეთოდური მითითებებით.

### ტექნიკა

1) მინდვრის სიგრძეზე მოძრაობით ბურთის გადაცემა წყვილებში ერთი ან ორი შეხებით. თავიდან წყვილებს შორის მანძილი 5-7 მეტრია, თანდათან კი გადაცემების მანძილი მინდვრის მთელ სიგანეზე იზრდება. უკან დაბრუნებისას წყვილები თანდათან უახლოვდებიან ერთმანეთს;

2) ვარჯიშები წყვილებში მოკლე და საშუალო მანძილებზე გადაცემებით. მოთამაშე № 1 მოძრაობს მინდვრის სიგრძეზე ზურგით წინ, მოთამაშე № 2 უგდებს მას ბურთს ხელით სხვადასხვა სიმაღლეზე. № 1 მოთამაშე ვალდებულია ბურთი დაუბრუნოს № 2 ფეხბურთელს პირდაპირ ხელებში ერთი შეხებით. უკან დაბრუნებისას ფეხბურთელები ცვლიან როლებს;

3) ვარჯიში ბურთის მიღებაში, გადაცემასა და ტარებაში. ორ ჯგუფად დაყოფილი ფეხბურთელები განლაგებული არიან მინდვრის კუთხეებში დიაგონალზე ერთმანეთის საწინააღმდეგოდ. იქ, სადაც ცენტრალური ხაზი გვერდითს ხაზს გადაკვეთს, ორივე მხარეზე დგებიან მწვრთნელები (ან ორი ფეხბურთელი). ერთი ფეხბურთელი იწყებს ბურთის ტარებას (8-10 მეტრამდე), შემდეგ — გრძელ გადაცემას მარჯვნივ მწვრთნელისკენ (ფეხბურთელისკენ) და საშუალო სისწრაფით განაგრძობს სირბილს. მწვრთნელი უბრუნებს ბურთს ფეხბურთელს მინდვრის ცენტრალური წრის მიდამოებში, ფეხბურთელი სწრაფგარბენით ღებულობს ბურთს, ასრულებს გრძელ გადაცემას მეორე მოთამაშისკენ, რომელიც დგას მინდვრის საწინააღმდეგო კუთხეში, და განაგრძობს სირბილს ამ კუთხისკენ. მოთამაშე, რომელიც ბურთს ღებულობს, იმავე ვარჯიშს ასრულებს.

პირველი ფეხბურთელის შემდეგ ბურთით მოძრაობას იწყებს მეორე მოთამაშე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ბურთს იგი საწინააღმდეგო მხარეს მდგარი მწვრთნელისკენ მიმართავს;

4) ვარჯიში ბურთზე თავით დარტყმაში. ორ ჯგუფად დაყოფილი ფეხბურთელები ერთმანეთის პირისპირ დგებიან. № 1 ფეხბურთელი ხელით უგდებს ბურთს თავზე მოწინააღმდეგე ჯგუფში მდგარ მოთამაშეს და გარბის მისკენ. № 1 ფეხბურთელი ასრულებს სწრაფგარბენს ისე, რომ ბურთი მიწაზე არ დაუშვას, ნებისმიერი ფეხით მიაგორებს ბურთს და დგება თავისი ან მოწინააღმდეგე ჯგუფის ბოლოში (ამას მწვრთნელი გადაწყვეტს);

5) ვარჯიში ბურთის ტარებაში, გადაცემასა და კარში დარტყმაში. ფეხბურთელთა ჯგუფი დგას მინდვრის ცენტრალურ წრეში. საჯარიმო მოედნის წინა ხაზთან დგება მწვრთნელი. ფეხბურთელი 6-8 მეტრზე ატარებს ბურთს, შემდეგ ზუსტად გადასცემს მწვრთნელს, ასრულებს სამ წინკოტრიალს. მესამე წინკოტრიალის შემდეგ მწვრთნელი გადასცემს ბურთს მარჯვნივ ან მარცხნივ (მოტყუებით). მოთამაშე სწრაფგარბენით მიემართება ბურთისკენ და კარში ურტყამს, რის შემდეგაც ძუნძულით ბრუნდება საწყის მდგომარეობაში;

6) ვარჯიში ბურთის მიღებაში, გადაცემასა და კარში დარტყმაში. ფეხბურთელთა ჯგუფი დგას მინდვრის ცენტრალური წრის ფარგლებში. მეკარე ხელით ტყორცნის ბურთს მისკენ გაქცეული მოთამაშის მიმართულებით. ეს უკანასკნელი ერთი შეხებით აწვდის ბურთს მწვრთნელს ან ფეხბურთელს, რომელიც საჯარიმო მოედნის წინა ხაზთან დგას, ღებულობს უკუგადაცემას და სწრაფგარბენით ურტყამს კარში;

7) გადაცემები საშუალო მანძილზე. ფეხბურთელთა ჯგუფი დგება საჯარიმო მოედნის ფარგლებში. ერთი მწვრთნელი დგას გვერდითს ხაზთან, 5-7 მეტრით შიგნით, მეორე კი — საპირისპირო საჯარიმო მოედნის ცენტრში. ფეხბურთელი № 1 ასრულებს სწრაფგარბენს ცენტრის მიმართულებით. მწვრთნელი ფეხბურთელს მისი სისწრაფის შესაბამისად აწვდის ბურთს, ფეხბურთელი ბურთს მარჯვენა ფეხით უბრუნებს უკან და განაგრძობს სირბილს დიაგონალის მიმართულებით მარცხნივ, ღებულობს გადაცემას მეორე მწვრთნელისგან, მარცხენა ფეხით უბრუნებს ბურთს უკან და ძუნძულით ბრუნდება საწყის ადგილზე;

8) ვარჯიში მცველის მიერ ბურთის უკუგდების სიზუსტეში. ერთ-ერთი მცველი დგას საჯარიმო მოედნის ფარგლებში. სამი სხვა მცველი დგება ცენტრის ხაზის სხვადასხვა ადგილზე. ისინი რიგრიგობით აწვდიან ბურთებს საჯარიმო მოედნის ფარგლებში (თითოს თითო ბურთი აქვს). იქ მყოფი მცველი მოვალეა უკუაგდოს ბურთი ზუსტად იმ ფეხბურთელისკენ, ვინც მიაწოდა;

9) კარის მიდამოებიდან ბურთის თავით და ფეხით უკუგდება (კარის გვერდზე გარბენით);

10) ბურთის გადაცემა. ფეხბურთელის ბურთთან შეჩვევა. სათამაშო ვარჯიში 3×1, ერთი შეხებით, პატარა კვადრატში;

11) იგივე — დიდ კვადრატში 40×40, ოთხი ორის წინააღმდეგ (აუცილებლად ერთი შეხებით);

12) თამაში ერთი შეხებით 5×5, 6×6, 7×7 და ა. შ. დავალებებით:

ა) თამაში მხოლოდ მარჯვენა ან მარცხენა ფეხით, ბურთის ართმევა არ შეიძლება, ნებადართულია მხოლოდ ჩაჭრა და ა. შ.;

ბ) თამაში ორი ან სამი შეხებით, მარტო მარჯვენა ან მარცხენა ფეხით;

გ) მხოლოდ დაბალი გადაცემებით, მარჯვენა ან მარცხენა ფეხით;

დ) მხოლოდ მაღალი ბურთის გადაცემა;

ე) მხოლოდ თავით თამაში (მოუხერხებელი გადაცემისას შეიძლება ხელის დახმარება);

13) ბურთის ტარება წყვილებში გადაცემების დახმარებით, ერთი საჯარიმო მოედნიდან მეორისკენ, რასაც კარში დარტყმა მოსდევს. შემდეგ იგივე მეორდება საწინააღმდეგო მიმართულებით;

14) ვარჯიში ბურთის ტარებაში, გვერდის ავლასა და კარში დარტყმაში. ერთი ფეხბურთელი იწყებს ბურთის ტარებას ცენტრალური ხაზიდან 15-20 მეტრის მანძილზე დაშორებული კარიდან. მეორე ფეხბურთელი ვითომ ცდილობს ბურთის წართმევას, მაგრამ მას პირველს უთმობს.

პირველი ფეხბურთელი, ვისაც ბურთი აქვს, გამუდმებით აკეთებს ცრუ მოძრაობებს (ფინტებს). ბურთის წამრთმევი პასუხს აძლევს. ბოლოს პირველი კარში ურტყამს. მეტოქე იღებს ბურთს. ახლა ის ბურთს ატარებს, ხოლო მეორე ართმევს და იწყება მოძრაობა საწინააღმდეგო მიმართულებით;

15) იგივე — 2×2, 3×3, ან 2×1, 3×2, 4×3;

16) ვარჯიში: მოწინააღმდეგის მოტყუება და კარში დარტყმა. საჯარიმო მოედნის წინ ორი ფეხბურთელია — ერთი შემტევი, მეორე დამცველი. მწვრთნელი ცენტრალური წრიდან ურტყამს ბურთს თავისუფალ ზონაში. შემტევი ცდილობს ხელში ჩაიგდოს იგი, მოატყუოს მცველი და შეაგდოს ბურთი კარში;

17) იგივე ვარჯიში, ოღონდ იმ სხვაობით, რომ შემტევი ფეხბურთელი თავით ან ფეხით ურტყამს ბურთს პარტნიორისკენ, რომელიც მიემართება მინდვრის სიღრმიდან კარში დასარტყმელად. მცველი ცდილობს მას ხელი შეუშალოს.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია,**
**საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.**

(გაგრძელება იქნება)

# ერთთვიურის შედეგები

საქართველოს ალკკ ჩოხატაურის რაიკომმა და ფიზკულტურის რაიონულმა კომიტეტმა ჩაატარეს ერთთვიური ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობის გაუმჯობესებისა და სპორტული ბაზების კეთილმოწყობის მიზნით.

ერთთვიურის პერიოდში ნაყოფიერად იმუშავეს ბუკნარის, ზემო ხეთის, ფარცხმის რვაწლიანმა, ვანი-ზომლეთის, ჩოხატაურის 1-ლი და მე-2, კოხნარის, ხიდისთავის საშუალო სკოლებმა.

აღნიშნულ სკოლებში შეკეთდა ხტომის სექტორები, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, შეიძინეს ახალი სპორტული ინვენტარი.

**დ. გურგენიძე.**
(ჩვენი კორ.).

ჩოხატაური.

# დიპლომები გადაეცათ...

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა საბჭომ 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისა და ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა აქტიური მონაწილეობისთვის თბილისის კოლექტივების ერთი ჯგუფი საპატიო დიპლომებით დააჯილდოვეს.

ამას წინათ „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ა. გიორგობიანმა დიპლომები გადასცა სპორტკლუბებს „ივერიას“, „ფეიქარს“, „ელვას“, „განთიადს“, აგრეთვე, თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ფიზკულტურის კოლექტივს.

**ბ. კოვალიოვი.**

# რაიონებში სპორტი

### ◆ კასპი

ჩატარდა „კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირად-გუნდური პირველობა მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 13 გუნდი. I ადგილი დაიკავა ოკამის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა. მეორე იყო კავთისხევის საბჭოთა მეურნეობის გუნდი. III ადგილზე გავიდნენ მეტეხის კოლმეურნეობის სპორტსმენები.

**ლ. ელისაბედაშვილი.**

### ◆ აბაშა

დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადით გათვალისწინებული შეჯიბრებები ხელბურთელ გოგონათა და ვაჟთა გუნდებს შორის. გოგონებში გაიმარჯვეს ადგილობრივი მე-2 სკოლის წარმომადგენლებმა, ხოლო ვაჟებში — ტყვირელმა სპორტსმენებმა.

**რ. ჭანტურია.**

### ◆ ვანი

რაიონის მოსწავლეთა გუნდური შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში მოიგო ადგილობრივი კიროვის სახელობის საშუალო სკოლის ნაკრებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ შუაგორისა და შუამთის საშუალო სკოლების მოსწავლეები. ჩემპიონები გახდნენ: ნ. და ზ. კუპატაძეები, კ. ლოლუაშვილი (ყველა — შუაგორი), ა. რობაქიძე, ა. გიორგაძე, თ. ორმოცაძე (ყველა — კიროვის სახელობის საშუალო სკოლა), ტ. კორძაძე (ტაბიძის სახელობის საშუალო სკოლა), ჯ. ჩხობაძე (ქვედაგორის საშუალო სკოლა), მ. ლოსაბერიძე, ბ. სტურუა (ორივე — შუამთა).

**მ. აბრამიძე,**
სპორტის ოსტატი.

### ◆ გორი

ჩატარდა რაიონის რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა პირველობა კალათბურთში. სულ შიდასაკოლექტივო, ზონალურ და ფინალურ შეჯიბრებებში ათასზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. საშუალო სკოლების გუნდების ტურნირში გაიმარჯვეს ხელთუბნისა (ვაჟებში) და ატენის (გოგონებში) წარმომადგენლებმა. რვაწლიან სკოლებში ტოლი არ ჰყავდათ ზემო ხიდისთავის (ვაჟები) და ქვემო სობისის (გოგონები) მოსწავლეებს.

**გ. მთვარელიძე,**
რაიონის სპორტსკოლის დირექტორი.

### ◆ მესტია

სოფელ ეცერის სასოფლო კლუბში ჩატარდა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. მთავარი პრიზი — აწ გარდაცვლილი თანასოფლელის, მოწინავე სპორტსმენის ვ. გერლიანის სახელობის თასი მოიპოვა ვახტანგ ხორგუანმა. პრიზი ყველაზე ბევრი წმინდა მოგებისთვის ნ. გურჩიანს ერგო, ხოლო ყველაზე ტექნიკურ მოჭიდავედ ს. აფრასიძე აღიარეს.

**ჩ. პაკელიანი.**

### ◆ წითელი წყარო

საინტერესო იყო რაიონის კალათბურთელ ვაჟთა ტურნირი, რომელშიც 9 გუნდი მონაწილეობდა. I ადგილი საქსოფტექნიკის წითელი წყაროს განყოფილების გუნდმა მოიპოვა.

* * *

ჯაფარიძის კულტურის სახლში მოეწყო რაიონული შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში. გუნდური გამარჯვება ქვემოქედლელებს ხვდათ.

**უ. წყარუაშვილი.**

რაიონებში სპორტი

სსრ კავშირის პირველობა

## საბჭოთა ლიგა

### გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 15 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" მ. | 9 | 5 | 3 | 1 | 15—8 | 13 |
| „დინამო" კ. | 9 | 5 | 3 | 1 | 8—5 | 13 |
| „ქაირათი" | 9 | 4 | 4 | 1 | 10—7 | 12 |
| „ზენიტი" | 9 | 4 | 3 | 2 | 17—11 | 11 |
| ცსკა | 9 | 3 | 4 | 2 | 17—10 | 10 |
| „ფახტაქორი" | 9 | 3 | 4 | 2 | 12—11 | 10 |
| „ტორპედო" | 9 | 2 | 6 | 1 | 6—5 | 10 |
| „შახტიორი" | 9 | 4 | 1 | 4 | 13—8 | 9 |
| „არარატი" | 9 | 2 | 4 | 3 | 11—11 | 8 |
| „სპარტაკი" | 9 | 4 | 0 | 5 | 9—11 | 8 |
| „ნისტრუ" | 9 | 3 | 2 | 4 | 14—17 | 8 |
| „კარპატი" | 9 | 3 | 1 | 5 | 10—13 | 7 |
| „ჩერნომორეცი" | 9 | 2 | 3 | 4 | 12—17 | 7 |
| „დინამო" (თბ.) | 9 | 2 | 3 | 4 | 9—14 | 7 |
| „დნეპრი" | 9 | 1 | 4 | 4 | 4—10 | 6 |
| „ზარია" | 9 | 1 | 3 | 5 | 7—16 | 5 |

## II ლიგა ზონა

12 ივნისს გამართული მატჩების შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ: —

### „დინამო" (ბათუმი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 0:0

ბათუმელმა ფეხბურთელებმა ამ ტურისთვის იმდენად გაიუმჯობესეს სატურნირო მდგომარეობა, რომ „შირაკთან" გამარჯვების შემთხვევაში ზონის ერთპიროვნული ლიდერები ხდებოდნენ. ამოცანა ძნელი არ ჩანდა იმიტომ, რომ ლენინაკანის გუნდი გათამაშების ცხრილში ჩამორჩენილია და სიძლიერით არ გამოირჩევა.

თავდაპირველად არაფერი მეტყველებდა იმაზე, რომ „დინამო" ქულას დაკარგავდა. მასპინძლებმა პირველივე წუთებიდან ხელთ იგდეს ინიციატივა და ქიქავას, გაგუას, თ. ეხვაიას, ცინარიძეს შეეძლოთ წარმატების მიღწევა. ამ უპირატესობის მიუხედავად, მაინც შესამჩნევი იყო, რომ ბათუმელები ზედმეტად ატარებდნენ ბურთს და შუა მინდორში ყოვნდებოდნენ.

მასპინძელთა შეტევა კიდევ უფრო გაძლიერდა შესვენების შემდეგ. „შირაკის" კართან ხშირად იქმნებოდა გოლის გატანის რეალური შესაძლებლობანი, მაგრამ მისი აღება მაინც არ მოხერხდა და ბათუმის „დინამო" იძულებული იყო შერიგებოდა უაღრესად საჭირო ქულის დაკარგვას.

მატჩში დაწესებული სპეციალური პრიზები მიეკუთვნათ ბათუმელ თ. ბეჟანიძეს და ლენინაკანელ გ. მესროპიანს.

**ო. შურვანიძე.**

ბათუმი.

### „გურია" (ლანჩხუთი) — „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) 1:0

სტუმრები ამ ტურისთვის სულ ქულით უსწრებდნენ ლანჩხუთელებს. ამიტომ გასაგებია ის დიდი მონდომება და მობილიზება, რომელიც „გურიამ" გამოიჩინა ამ სხვაობის მოსპობისთვის. მატჩი სულ ახალი დაწყებული იყო, როცა თავაძემ ძელს მოახვედრა ბურთი. ცოტა ხანში „კალიტვის" კართან ახალი სახიფათო მომენტი შეიქმნა და ცხადი გახდა, რომ მასპინძლები მხოლოდ გამარჯვებისთვის იბრძოდნენ.

მართალია, კალიტველები დროდადრო ახორციელებდნენ სახიფათო კონტრიერიშებს და ერთხელ მასპინძელთა კარი იღბლადაც გადაურჩა ხიფათს, მაგრამ ბრძოლა აშკარად ლანჩხუთელთა სასარგებლოდ მიმდინარეობდა. მათმა მონდომებამ ტაიმის დასასრულს ნაყოფიც გამოიღო: ძაგანიამ თავს ზემოთ გადაუგდო მეკარეს ბურთი, მას მიუსწრო ძიძიგურმა და ზუსტად დაარტყა.

მეორე ტაიმში თამაში კვლავ „გურიის" უპირატესობით მიმდინარეობდა და „კალიტვამ" მხოლოდ ძალის



დიდი დაძაბვით შეძლო ეხსნა კარი კიდევ რამდენიმე საშიფათო მომენტისგან.

**ი. ებრალიძე.**

ლანჩხუთი.

### „დინამო" (ზუგდიდი) — „კოლხეთი" (ფოთი) 1:0

მატჩის ორივე მონაწილეს ერთობ არასახარბიელო ადგილი ეკავა გათამაშების ცხრილში. ამიტომ ბრძოლა მდგომარეობის გამოსწორებისთვის ძალიან პრინციპული და დაძაბული გამოდგა.

დინამოელებმა ერთობ გაიადვილეს საქმე მას შემდეგ, რაც „კოლხეთის" კარში დაინიშნა პენალტი და კეჟერიშვილმა ზუსტად გამოიყენა იგი. წარმატების მოპოვების შემდეგ გუნდი უფრო დამაჯერებლად და იმედიანად თამაშობდა.

მე-20 წუთზე იმავე კეჟერიშვილს შეეძლო კიდევ უფრო დაეწინაურებინა თავისი კოლექტივი, მაგრამ ვერ გამოიყენა უაღრესად ხელსაყრელი მდგომარეობა. შემდეგ ფოთელებმა თანდათან გააძლიერეს თამაში და სახიფათო მომენტები უკვე მასპინძელთა კართან იქმნებოდა.

კიდევ უფრო მეტი ენერგიით და ტერიტორიული უპირატესობით თამაშობდა „კოლხეთი" მეორე ტაიმში. პირდაპირ უნდა ითქვას, ზუგდიდელთა მცველებმა და მეკარე წყაროზიამ ძალიან მძიმე დატვირთვა გადაიტანეს. ფოთელთა იერიშები არ ცხრებოდა, მე-60 წუთზე სანაიამ ძელსაც მოახვედრა ბურთი და საბოლოოდ ზუგდიდელებმა მხოლოდ დიდი გაჭირვებით შეძლეს გამარჯვების შენარჩუნება.

**ბ. ალშიბაია.**

ზუგდიდი.

## სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „დილა" (გორი) — „ლორი" (კიროვაკანი) 9:1, „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „დინამო" (კიროვაბადი) 2:0, „მერცხალი" (მახარაძე) — „ფოლადი" (სუმგაითი) 2:1, „ტორპედო" (ვლადიმირი) — „ურალანი" (ელისტა) 2:1, „ხიმიკი" (ძერჟინსკი) — „დინამო" (სტავროპოლი) 2:1, „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) — „დინამო" (ბრიანსკი) 2:0, „დინამო" (ვოლოგდა) — „ისკრა" (სმოლენსკი) 1:3.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიროვაბადი) | 12 | 8 | 1 | 3 | 22—9 | 17 |
| „ისკრა" | 12 | 7 | 3 | 2 | 18—8 | 17 |
| „დინამო" (ბათუმი) | 12 | 6 | 5 | 1 | 12—4 | 17 |
| „დინამო" (ვოლოგდა) | 13 | 7 | 3 | 3 | 18—12 | 17 |
| „ტორპედო" | 13 | 7 | 2 | 4 | 15—8 | 16 |
| „ხიმიკი" (ძერჟინსკი) | 13 | 6 | 3 | 4 | 15—11 | 15 |
| „გურია" | 13 | 3 | 7 | 3 | 12—11 | 13 |
| „ურალანი" | 12 | 5 | 3 | 4 | 10—9 | 13 |
| „ხიმიკი" (ნოვომოს.) | 13 | 6 | 1 | 6 | 11—13 | 13 |
| „კალიტვა" | 13 | 6 | 0 | 7 | 17—16 | 12 |
| „მერცხალი" | 12 | 4 | 4 | 4 | 11—13 | 12 |
| „ლოკომოტივი" | 12 | 4 | 4 | 4 | 10—14 | 12 |
| „დილა" | 12 | 4 | 3 | 5 | 19—15 | 11 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 12 | 3 | 5 | 4 | 11—11 | 11 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 12 | 3 | 4 | 5 | 10—11 | 10 |
| „შირაკი" | 12 | 3 | 4 | 5 | 12—14 | 10 |
| „ლორი" | 12 | 3 | 4 | 5 | 9—19 | 10 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 13 | 4 | 1 | 8 | 9—17 | 9 |
| „კოლხეთი" | 13 | 3 | 2 | 8 | 4—15 | 8 |
| „ფოლადი" | 12 | 2 | 1 | 9 | 8—22 | 5 |

## საქართველოს პირველობა

### მეორე ჯგუფი

1 ზონა

„განახლება" (ადიგენი) — „სამცხე" (აწყური) 5:0, „კოლმეურნე" (ბორჯომი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 4:1, „რუბეროიდი" (გარდაბანი) — „მადნეული" (ბოლნისი) 1:3, „არაგვი" (დუშეთი) — „განთიადი" (კასპი) 1:3.

II ზონა

„მზიური" (გალი) — ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 2:1, „კოლმეურნე" (წულუკიძე) — „განთიადი" (აბაშა) 6:0, „ჩიხურა" (საჩხერე) — „სამგურალი" (წყალტუბო) 1:2, „ბახმარო" (ჩოხატაური) — „სქური" (წალენჯიხა) 1:2.

# X ჩემპიონატი დაიწყო

13 ივნისი. მაინის ფრანკფურტი. „ვალდშტადიონი". 61 ათასი მაყურებელი.

ბრაზილია — იუგოსლავია 0:0.

**ბრაზილია:** ლეაო, ლუის პერეირა, ს. მარინიო, პიაცა, ფ. მარინიო, ჟაირზინიო, ლეივინია, რიველინო, პაულო ცეზარი, ვალდომირო, მელინია.

**იუგოსლავია:** მარიჩი, მუზლარი, კოტალინსკი, ბოგიჩევიჩი, ჰაჯიაბდიჩი, მუჟინიჩი, ობლაკი, აჩიმოვიჩი, შჩურიაკი, პეტკოვიჩი, ჯაიჩი.

მსაჯი რუდოლფ შერერი (შვეიცარია).

გაფრთხილებული არიან: ობლაკი და აჩიმოვიჩი.

აქ ყველაფერი საზეიმოდ გამოიყურებოდა: ხალხით სავსე სტადიონი, პირველობის მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელი მომღერლებისა და მოცეკვავეების ორსაათიანი წარმტაცი მსვლელობა, ხავერდოვან მწვანე მინდორზე დაკიდებული შეკულმფრენები... არ იყო მხოლოდ მზე და... გოლები. პირველი მატჩი ჩემპიონატის 38 შეხვედრიდან — ბრაზილიისა და იუგოსლავიის გუნდებს შორის — ფრედ დამთავრდა — 0:0.

ამ წვიმიან დღეს მატჩს თვალს ადევნებდა 800 მილიონი მაყურებელი მსოფლიოს 100 ქვეყანაში. შეხვედრა ჩატარდა მწვავე, ძირითადად თანაბარ ბრძოლაში. პირველ ტაიმში უპირატესობა ჰქონდათ ბრაზილიელებს, შესვენების შემდეგ კი — მათს მეტოქეებს. დროდადრო ბრძოლა ზედმეტად მკვეთრი იყო, რის გამოც შვეიცარიელ არბიტრს შერერს ხშირად უხდებოდა თამაშის შეჩერება.

## WM-74

მსოფლიო ჩემპიონატი

## პოლიციის გაძლიერებული მეთვალყურეობით

დასავლეთ ბერლინი, 14 ივნისი (საკდესი). ჩილისთან სოლიდარობის დასავლეთგერმანულმა კომიტეტმა გამოაქვეყნა თავისი გადაწყვეტილება, რომ გფრ-ისა და ჩილის გუნდების შეხვედრის დროს მსოფლიო ჩემპიონატის პროგრამით, დემონსტრაციული პროტესტი გამოცხადდება ჩილის ხუნტის ფაშისტური რეჟიმის საწინააღმდეგოდ. პრეს-კონფერენციაზე გამოსული კომიტეტის წევრები აღნიშნავდნენ, რომ მათ საწინააღმდეგო არაფერი აქვთ თვით ჩილიელ სპორტსმენთა მიმართ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმ დროს, როცა გფრ-ის სტადიონზე ეს მატჩი ჩატარდება, ჩილის სტადიონებზე კვლავ გაგრძელდება ადამიანთა წამება.

დასავლეთ ბერლინის პროგრესული ორგანიზაციები ამ დღეებში ავრცელებენ ფურცლებს, სადაც მხილებულია ჩილის სამხედრო რეაქციის დანაშაულობანი. 14 ივნისს გაიმართება ჩილიელ პატრიოტებთან სოლიდარობის მიტინგი, მეორე დღეს კი განზრახულია ქალაქის ქუჩებში მოეწყოს ხუნტის საწინააღმდეგო პროტესტი.

ქალაქის ხელისუფლება იძულებულია საგანგებო ზომებს მიმართოს „საზოგადოებრივი წესრიგის" დასაცავად ჩილის საფეხბურთო გუნდის თამაშის დღეს. სტადიონი „ოლიმპია" პოლიციის მიერ გამოცხადებულია დახურულ ზონად, რომელსაც საგანგებო დაცვა ესაჭიროება. გამოცხადდა, რომ ქალაქში დააწესებენ კონტროლს ყველა „საეჭვო" საუბარზე ტელეფონით.

მომავალი მატჩების დროს სტადიონზე წესრიგს კონტროლს გაუწევს პოლიციის მიერ სპეციალურად მომზადებული 1400 კაცი, აგრეთვე „ნებაყოფლობითი საპოლიციო რეზერვი" 600 კაცის შემადგენლობით. სტადიონის მახლობლად მდებარე ტერიტორიაზე იწარმოებს პოლიციის ქვეგანაყოფების მეცადინეობანი.

სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული პოლიციელები მოთავსდებიან ტრიბუნებზეც.




ტერი ბაშელი „მორნინგ სტარი" (ლონდონი). 7 ივნისი.

# კლოდოალდოც არ ითამაშებს

ამ ჩემპიონატში ბრაზილიის ნაკრების შანსებმა ძალიან იკლო მას შემდეგ, რაც გუნდის ვარსკვლავი, ნახევარმცველი კლოდოალდო დაშავდა. ეს ფეხბურთელი ფინალურ ტურნირში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს.

ასევე ვერ ითამაშებს სათადარიგო მეკარე ვენდელი. კლოდოალდოს თეძოს კუნთი აქვს დაჭიმული, ხოლო ვენდელს მუხლი დაუშავდა. ორივე მათი შემცვლელი ერთი კლუბიდან, „სანპაულუდანაა". ესენი არიან 22 წლის მირანდინია და 24 წლის მეკარე ვალდირ პერესი.

კლოდოალდოს არყოფნა გუნდისთვის უაღრესად მძიმე დანაკლისი იქნება. იგი იმ გუნდის წევრი იყო, რომელმაც 1970 წელს მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა. კლოდოალდოს შესანიშნავი თამაში მაშინ ტოსტაოს, გერსონისა და პელეს ბრწყინვალე ოსტატობამაც კი ვერ დაჩრდილა.

მსოფლიო ჩემპიონატებში ბრაზილიელთა მიღწევები ლეგენდარულია. 1958, 1962 და 1970 წლებში ისინი ჩემპიონები გახდნენ და ყოველ მათგანს ფეხბურთში წარმატების მოპოვება თავის მოვალეობად მიაჩნია.

მსოფლიო ჩემპიონატის მოგება უცხო კონტინენტზე თითქმის შეუძლებელია და ბრაზილიელთა შეუდარებელი გუნდის გამარჯვება 1958 წელს შვეციაში ის მძიმე ჯვარი იყო, რომელიც მას შემდეგ ყოველ ბრაზილიელ ძეფრთნელს უნდა ეტარებინა.

ბრაზილიელთა ახლანდელი მენეჯერი ხორხე მარიო ზაგალო იმ 1958 წლის გუნდის წევრი იყო და ამჟამად ალბათ ყველაზე საჭირო ადამიანია გუნდის ხელმძღვანელის პოსტზე. იქნებ ახალ ამპლუაში მან კვლავ შეძლოს თითქმის შეუძლებელი, მაგრამ ეს ძალიან საეჭვოა.

ევროპაში ბრაზილიელთა შარშანდელი უღიმღამო ტურნეს შემდეგ რიოდე-ჟანეიროდან და სან-პაულუდან ყოველკვირეულად მოდიოდა ცნობები, რომ ზაგალო მოხსნეს ან მოხსნას უპირებდნენ. მას უთავბოლოდ აკრიტიკებდნენ ქვეყანაში, სადაც ფეხბურთი, როგორც არც ერთ სხვა სახელმწიფოში, ნამდვილ რელიგიადაა ქცეული.

ზაგალო ევროპაში წავიდა, რადგან იცოდა, რომ უნდა მოეძებნა პელეს, ტოსტაოს, გერსონისა და კარლოს ალბერტოს ღირსეული შემცვლელები, რომ რაც შეიძლება მეტი საშუალება უნდა მიეცა ახალგაზრდა მოთამაშეებისთვის თავიანთი ნიჭის და უნარის გამორჩენისა, რომ საჭირო იყო ყველა შეჩვეოდა ევროპული სტილით თამაშს.

ბრაზილიელებს საზოგადოებრივი პრესის, რადიოს და ტელევიზიის 93 კორესპონდენტი წაჰყვა. მაგრამ კორესპონდენტები, ისევე როგორც სხვა გულშემატკივრები, გუნდისგან პირველ ყოვლისა შედეგებს მოითხოვდნენ და იტალიასთან მისი დამარცხების (0:2) შემდეგ დაიწყო ნამდვილი თავდასხმა ზაგალოზე. იგი ვერ ენდობოდა ახალგაზრდა პერსპექტიულ ფეხბურთელებს, რადგან, როცა სცადა ეს, გუნდმა შვეციასთან წააგო 0:1. ამის შემდეგ გუნდს ან დარჩენილი თამაშები უნდა მოეგო, ანდა ზაგალო მწვრთნელის პოსტს გამოეთხოვებოდა.

თუმცა ამ ტურნეს დროს გუნდმა წარმატებებიც მოიპოვა. ამ წარმატებათაგან ყველაზე აღსანიშნავია ლუის პერეირას „აღმოჩენა", რომელსაც დებიუტი ტუნისის გუნდთან შეხვედრაში ჰქონდა და მას შემდეგ ძირითად შემადგენლობაში მოიკიდა ფეხი. პერეირა უწინ ცენტრფორვარდი იყო, ახლა კი ცენტრალურ მცველად თამაშობს.

კარგად ითამაშა მეკარე ლეაომაც, რომელიც კარიდან ხშირად გამოდიოდა მაღალი გადაცემების ასაღებად და მეტოქის თავდამსხმელებს თავიდან „უხსნიდა" ბურთებს, რასაც ევროპელი მეკარეებიც უნდა აკეთებდნენ.

თუ ამ ორ ფეხბურთელს დავუმატებთ კიდევ ერთ ძლიერად მოთამაშე ახალბედას მარკო ანტონიოს, ზე მარიას და ვეტერან ვილსონ პიაცას, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაცვას პრობლემები არ აქვს.

ზაგალოსთვის ნამდვილი პრობლემები შეტევის ხაზთანაა დაკავშირებული. როგორ გინდა შემცვლელი უპოვო პელეს ან ტოსტაოს? ჟაირზინიოც კი, რომელიც მეხიკოში ძალიან ძლიერად და სახიფათოდ თამაშობდა, ფეხბურთის ამ ორი ბუმბერაზის არყოფნის გამო ის აღარ არის, რაც უწინ იყო.

ბრაზილიელთა მეორე უძლიერესი ფეხბურთელია მარჯვენა ინსაიდი ადემირ და გუია. იგი თამაშობს დღეისთვის მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში „პალმეირასში". ადემირის მამა 1938 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ბრაზილიის ნაკრებში გამოდიოდა მარჯვენა მცველად.

ბრაზილიის გუნდმა წლეულს უამრავი საწვრთნელი მატჩი ითამაშა, მაგრამ ამ შეხვედრებში იგი მსოფლიოს ჩემპიონს არ ჰგავდა. საეჭვოა, ითამაშებს თუ არა გუნდისთვის ძალიან საჭირო ფეხბურთელი, ცეცხლოვანი პაულო ცეზარი, რომელიც გულშემატკივრებმა გაკიცხეს პირად ცხოვრებაში მათი აზრით შავკანიანი სპორტსმენისთვის მიუღებელი ქცევისთვის.

თუ ეს ცუდი შედეგებით დამთავრდა, მთელი ბრაზილია ფეხზე დადგება. იქ ხომ ფეხბურთელთა მიღწევები ხელს უწყობს ეროვნული სულის შენარჩუნებას, რომელიც თანდათან ეცემა მზარდი ინფლაციის, უკიდურესი სიდუხჭირისა და ფაშისტური რეჟიმის გამო.

ბრაზილიელები შეიძლება იუგოსლავიელებთან ერთად შემდეგ ეტაპზე გავიდნენ, შეიძლება ჩამოიტოვონ შოტლანდია და ზაირი, მაგრამ უფრო მეტს მათგან არ უნდა მოველოდეთ.

* * *

### გუნდის შემადგენლობა

ძირითადი მოთამაშეები: ლეაო („პალმეირასი"), ლუის პერეირა („პალმეირასი"), ზე მარია („პორტუგეზა"); ვილსონ პიაცა („კრუზეირუ"), მარკო ანტონიო („ფლუმინენსე"), ადემირ და გუია („პალმეირასი"), რიველინო („კორინტიანსი"), პაულო ცეზარი („ფლამენგო"), ჟაირზინიო („ბოტაფოგო"), ლეივინია („პალმეირასი"), დირსეუ („ბოტაფოგო").

მათს გარდა გუნდში არიან: მეკარე ვალდირ პერესი („სან-პაულუ"); მცველი ს. მარინიო („ბოტაფოგო"); ნახევარმცველი მირანდინია („სან-პაულუ"); თავდამსხმელები: ვალდომირო („ინტერნაციონალი"), ედუ („სანტოსი").

## ჩანჩქერი

### გართულება 15 ივნისს...

15 ივნისს, როცა სტადიონზე გამოვლენ ბულგარეთისა და შვეციის ნაკრები გუნდები, ამ ქვეყნების მილიონობით გულშემატკივარი, ცხადია, ტელევიზორებს მიაშურებს.

მოულოდნელი გართულების წინაშე დადგა შვეციის ტელევიზია. სწორედ იმ დროს, როცა ფეხბურთის მატჩი იწყება, დანიშნულია შვეციის პრინცესა კრისტიანას საქორწინო ცერემონიალი. ასეთ მნიშვნელოვან ამბავს შვეციის ტელევიზია ყოველთვის გადასცემს, ახლა კი მოულოდნელად დადგა... ფეხბურთის მატჩის პრობლემა.

„არსებობს მხოლოდ ერთი გამოსავალი, — განაცხადეს ტელევიზიის ხელმძღვანელებმა. — პრინცესამ რამდენიმე საათით უნდა გადადოს ქორწინება".

# დარიალის ვერტიკალურ ბილიკებზე



ყაზბეგში, დარიალის ვიწროებში, სამხედრო გზაზე მიმავალი ცნობისმოყვარე მგზავრები რამდენიმე წუთით აჩერებდნენ ავტომანქანებს იქ, სადაც 1918 წლის 13 ივლისს მენშევიკებს მედგარი ბრძოლა გაუმართა დუშეთის მაზრის აჯანყებულთა დასახმარებლად ჩასულმა საქართველოს გლეხთა შეიარაღებულმა რაზმმა საშა გეგეჭკორის ხელმძღვანელობით. მგზავრები ინტერესით ადევნებდნენ თვალს კლდოვან ბასტიონებთან შეჭიდებულ რაინდებს — საქართველოს მეკლდეურთა ღია ჩემპიონატის მონაწილეებს.

ადგილობრივი მცხოვრებნი და შემთხვევითი მაყურებლები ასპარეზობისას ყველა მეკლდეურს ამხნევებდნენ, მაგრამ ხალხი ყველაზე მეტად მაინც აკაკი ხერგიანმა აღაფრთოვანა. ინდივიდუალურ შეჯიბრებაში მან 80-მეტრიანი ტრასა შეუფერხებლად, უჯარიმოდ გადალახა და ასევე სწრაფად დაეშვა დიულფერით.

შემდეგ ლადო გურჩიანის რიგი იყო. იგი სსრ კავშირის ექს-ჩემპიონი და საქართველოს მეკლდეურთა უცვლელი აბსოლუტური ჩემპიონია ბოლო წლებში. თუ ვინმე შეძლებდა ხერგიანის შედეგის გაუმჯობესებას, მხოლოდ გურჩიანი უნდა ყოფილიყო. ლადომ წინა დღეს უკვე მოიპოვა ჩემპიონის სახელი წყვილთა გასწრებაში. ახლა კი დინჯად ემზადებოდა მეორედ გამარჯვებისთვის, აჰყურებდა მაღალ გრანიტის კლდეს, თვალით წინასწარ ზომავდა და წონიდა თავის უსულო მეტოქეს.

საოცარი ხალხია მეკლდეურები, რომლებსაც, ძალიან იშვიათი გამონაკლისის გარდა, ისევ და ისევ თანაგუნდელები ამხნევებენ ასპარეზობის დროს. ჩვენ ბევრჯერ გვინახავს რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლეზე, პიტალო კლდეზე გაკრული მეკლდეური, რომელსაც თითების მოსაკიდი სულ პატარა წიბოც ვერ უპოვია. აი, ასეთ მდგომარეობაში მყოფი მეკლდეური ბევრჯერ გადაურჩენია ამგვარ სიტყვებს: „მიდი, მიდი, ყოჩაღად!".

გულშემატკივრები ახლაც ხმის ჩახლეჩამდე ყვირილისთვის ემზადებოდნენ, რათა თავიანთი საყვარელი სპორტსმენი გაემხნევებინათ. ამ დროს მსაჯთა კოლეგიასთან გურჩიანის „რწმუნებული" მივიდა და გადასცა სპორტსმენის თხოვნა, რომ ასპარეზობისას... სამარისებური სიჩუმე ყოფილიყო. მართლაც, როცა გურჩიანი გამოვიდა სარბიელზე, მხოლოდ თერგი „ღრიალებდა და კლდენი ბანს ეუბნებოდნენ".

— ეეჰ, ლადო ხუთ წამს აგებს! — თქვეს გურჩიანის თანაგუნდელებმა, როცა იგი ბოლომდე ავიდა.

სანამ დასაშვებად მოემზადებოდა, ლადომ კიდევ ხუთი წამი დაკარგა. მან პირველმა მიულოცა გამარჯვება ხერგიანს. სხვათა შორის, აკაკი მიხეილ ხერგიანის — „კლდის ვეფხვის" ბიძაშვილია.

შემდეგ გურჩიანმა კიდევ მიულოცა... II ადგილი ნ. დიდებულიძეს.

როგორც უკვე ვთქვით, გურჩიანი საქართველოს მეკლდეურთა უცვლელი ჩემპიონია ბოლო წლებში. ამიტომ სასიამოვნოა, რომ ახლა მას ღირსეული მეტოქენი გამოუჩნდნენ. ამიერიდან ლადო ფხიზლად უნდა იყოს (თუმცა, არც სჩვევია მოდუნება) — მძაფრი კონკურენცია, მოგეხსენებათ, სპორტსმენს ავალებს უფრო გულმოდგინედ იშრომოს.

ქალთა შორის აბსოლუტური ჩემპიონი ი. თურმანიშვილი საქართველოს კლდეებზე თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში. სამწუხაროდ, სხვებმა მას ვერც ამჯერად გაუწიეს ნამდვილი მეტოქეობა.

შეჯიბრებამ რამდენიმე პერსპექტიული მეკლდეური გამოავლინა. მათ შორის პირველ ყოვლისა უნდა დავასახელოთ საქართველოს ჩემპიონატის დებიუტანტი, ქუთაისელი ჭაბუკი მ. ნემსიწვერიძე, რომელმაც შესაშური სპორტული ჟინი, მონდომება და გამბედაობა გამოიჩინა. ნემსიწვერიძემ ინდივიდუალურ შეჯიბრებაში მშვიდობიანად დაიპყრო „მწვერვალი". კიდევ უფრო გავოცდით, როცა შევიტყვეთ, რომ მას დარიალის კლდოვან ბასტიონებთან შერკინებამდე მხოლოდ ერთი კვირით ადრე უცდია პირველად ძალა მეკლდეურობაში. ვინ იცის, ცოტა გამოცდილებაც რომ ჰქონოდა, შესაძლოა საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაშიც მიეღო მონაწილეობა. ქუთაისელი ჭაბუკი 14 წლისაა და სპეციალისტები მას კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, თუ სერიოზულად მოეკიდება ვარჯიშს. ასპარეზობის ბოლოს მ. ნემსიწვერიძეს სპეციალური პრიზი გადასცეს, როგორც შეჯიბრების ყველაზე ნორჩ და პერსპექტიულ სპორტსმენს.

ყაზბეგელ ბ. ბულაშვილს ამ შეჯიბრებამდე არაფერი ჰქონდა საერთო მეკლდეურობასთან. ეს ჭაბუკი სრულიად „შემთხვევით" მოხვდა საქართველოს ჩემპიონატის სარბიელზე და... პერსპექტიული მეკლდეურისთვის განკუთვნილი პრიზი დაიმსახურა.

როგორც აღვნიშნეთ, ეს შეჯიბრება საქართველოს ღია ჩემპიონატი იყო, მაგრამ მოწვეულ კოლექტივებსაც სწორედ ამ პერიოდში ჰქონდათ თავიანთი რესპუბლიკების ჩემპიონატები. ამიტომ თბილისის პირველ და მეორე გუნდებს, თბილისის განათლების განყოფილების მოზარდთა მთასვლური სპორტსკოლის წარმომადგენლებს, ასკ-ს, ქუთაისის, ჭიათურისა და ყაზბეგის მეკლდეურებს „შინაურ კომპანიაში" მოუხდათ ადგილების განაწილება. კარგი იქნება, თუ საქართველოს მეკლდეურები ამ გაკვეთილს მომავლისთვის გაითვალისწინებენ.

მოგეხსენებათ, სსრ კავშირში, საქართველო ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა სპორტული ბაზების მხრივ. მაგრამ ქართველ მეკლდეურებს, ღვთის მადლით, კლდეები არ აკლიათ. ამიტომ ისეთი სუსტი გუნდების გამოყვანა, როგორიც ყაზბეგსა და ჭიათურას ჰყავდათ, არაფრით არაა გამართლებული. კაცმა რომ თქვას, არც ქუთაისელები ბრწყინავდნენ ჩაიხცდაშაიხც. ამ გუნდებს აშკარად ეტყობოდათ, რომ მხოლოდ შეჯიბრების წინ უვარჯიშიათ ცოტა. მესტიისა და ლენტეხის მეკლდეურები საერთოდ არ ჩამოვიდნენ საასპარეზოდ. საქართველოში მეკლდეურობის უფრო ფართოდ გავრცელების მიზნით, შარშანდელი ჩემპიონატი სოხუმში ჩატარდა, მაგრამ მაშინდელ მასპინძლებს სპორტის ამ მართლაც ჭეშმარიტად ვაჟკაცური სახეობის განვითარებისთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ.

თუ მეტი მზრუნველობა და მონდომება არ გამოვიჩინეთ, საკავშირო სარბიელზე წარმატების იმედი აღარ უნდა გვქონდეს.

**ა. გურასაშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

დარიალის ხეობა.

### ტექნიკური შედეგები

ქალები. ინდივიდუალური შეჯიბრება. ი. თურმანიშვილი (თბილისი I) — 240 ქულა, თ. ქიტუაშვილი (თბილისი II) — 112,35, ე. ხარებოვა (თბილისის განათლების განყოფილება) — 93,37; წყვილთა გასწრება. თურმანიშვილი — 120, ქიტუაშვილი — 112,77, ხარებოვა — 83,66.

ვაჟები. ინდივიდუალური შეჯიბრება. ა. ხერგიანი (თბილისის ასკ) — 120 ქულა, ნ. დიდებულიძე (თბილისის განათლების განყოფილება) — 119,54, ლ. გურჩიანი (თბილისი I) — 118,01; წყვილთა გასწრება. გურჩიანი — 120, ხერგიანი — 118,87, ვ. საბანაძე (თბილისი I) — 117,0. წყვილთა შეჯიბრება. გურჩიანი — საბანაძე — 240, ხერგიანი — ა. ბაროვსკი (თბილისის ასკ) — 230,74, ფ. ჯოხაძე — დიდებულიძე (თბილისის განათლების განყოფილება) — 225,81.

გუნდური: თბილისი I — 825,5 ქულა, თბილისის განათლების განყოფილების მოზარდთა მთასვლური სპორტსკოლა — 686,73, თბილისი II — 664,78.

სურათზე: ა. ხერგიანი ასპარეზობისას.

ავტორის ფოტო.

# ფინალში პირველად

პარიზი, 14 ივნისი. „როლან გაროს" კორტებზე მოასპარეზე მოსკოველი ჩოგბურთელი ო. მოროზოვა კ. ევერტთან (აშშ) ერთად ქალთა წყვილების ფინალში გავიდა საფრანგეთის ღია ჩემპიონატში. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ამ მნიშვნელოვანი ტურნირის — გრუნტიან მოედნებზე მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატის ფინალში საბჭოთა ჩოგბურთელი ქალი გამოვა. ნახევარფინალში მოროზოვამ და ევერტმა ანგარიშით 6:2, 6:1 დაამარცხეს ასევე ინტერნაციონალური დუეტი — რ. ჟისკაფრი (არგენტინა) და მ. ნასუელი (იტალია). მოსკოველი ჩოგბურთელი ორგზის ფინალისტი გახდა: ნახევარფინალში 47 წუთში სძლია სამხრეთ ამერიკის ჩემპიონს ჟისკაფრს — 6:3, 6:2. მეოთხედფინალში მან მ. ნაუმანოვას (ჩეხოსლოვაკია) აჯობა — 6:3, 6:2.

მეოთხედფინალში მოროზოვამ და ევერტმა იაპონელების დუეტი (ფუკუოკა და სავამაცუ) დაამარცხეს. ბედმა უმუხთლათ თბილისელ კაკულიასა და მოსკოველ ვოლკოვს: მათ ჟოფრესთან და ბარტესთან (ორივე — საფრანგეთი) წააგეს — 4:6, 6:2, 3:6.

ვაჟთა წყვილების ნახევარფინალის საგზურები მოიპოვეს თბილისელმა ა. მეტრეველმა და შვედმა ბ. ბორგმა. მათ არგენტინელებს გ. ვილასსა და ტ. ვასკესს სძლიეს — 7:5, 6:4. მანამდე მეტრეველმა და ბორგმა ამერიკელები დიფსი და სოლომონი დაამარცხეს — 2:6, 6:0, 8:6.

ვაჟთა ერთეულების თანრიგში მეტრეველმა წააგო ზ. ფრანულოვიჩთან (იუგოსლავია) — 4:6, 6:2, 2:6, კაკულიამ — რუიესთან (საფრანგეთი) — 6:2, 2:6, 1:6, ვოლკოვმა — პასარელთან (აშშ) — 6:7 6:7.

# მძლეოსანთა სტარტები

ცნობილმა შვედმა მძლეოსანმა რიკი ბრუხმა შვეციის ქალაქ ჰელსინბორგში ზედიზედ 102-ე გამარჯვება იზეიმა საერთაშორისო შეჯიბრებებში. მან 68,16 მეტრზე ტყორცნა ბადრო, სულ 24 სმ დააკლდა მსოფლიო რეკორდამდე, რომელსაც ამერიკელი ჯ. სილვესტრი და თავად ბრუხი ფლობენ.

...მძლეოსნური სეზონი უკვე დუღს და გადადუღს. მოსავალს კარგი პირი უჩანს: სექტემბერში, კონტინენტის ჩემპიონატის დღეებში, ევროპის მძლეოსანთაგან მაღალ შედეგებს უნდა მოველოდეთ, მანამდე კი საჭიროა ამ შეჯიბრების საგზურების მოპოვება — საკონტროლო ნორმატივების შესრულება. ამიტომ ბევრ ქვეყანაში ერთობ ინტენსიურად მიმდინარეობს მძლეოსანთა საწვრთნელი მეცადინეობები და შეჯიბრებები.

ტრადიციულად ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში „ოლიმპიელის დღეზე". ყურადღების ცენტრში იყო 100 მეტრზე რბენაში ძველი მეტოქეების — პოლონელი ი. შევინსკას და მასპინძელი რ. შტეკერის პაექრობა. გაიმარჯვა შევინსკამ, რომელმაც, ძლიერი პირქარის მიუხედავად, 11,2 წამში დაფარა ეს მანძილი. შტეკერი მას მეტრით ჩამორჩა — 11,3.

400 მეტრზე რბენაში თავი გამოიჩინა ე. შტროპალმა (გდრ), რომელმაც გათხოვების შემდეგ შტრიდტის გვარი მიიღო. გარბენში მან 51,7 წამი აჩვენა, ფინალში კი — 0,2 წამით უარესი შედეგი.

ვაჟებში თავი გამოიჩინა ჰოლანდიელმა ი. ჰერმენსმა: 5000 მ — 13.27,2.

გდრ-ში 19 ქვეყნის 320 სპორტსმენმა იასპარეზა.

ათენში 15 სახელმწიფოს წარმომადგენლები გამოვიდნენ. აქ შედეგები მაინცდამაინც მაღალი არ იყო — ნაკრები გუნდების მეორე და მესამე ნომრები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

სამაგიეროდ, მაღალ შედეგებს უნდა მოველოდეთ ბუდაპეშტში, სადაც შაბათსა და კვირას გაზეთ „ნეპსავის" პრიზები გათამაშდება. ვარაუდობენ, რომ „ნეპშტადიონზე" საბჭოთა მძლეოსნებიც გამოვლენ.

ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ტყორცნის წრეში კვლავ ჩადგა ოლიმპიური ჩემპიონი ლ. დანეკი (ჩეხოსლოვაკია), რომელმაც პრაღაში გამართულ შეჯიბრებაში აჯობა ყველას — 61,48 მეტრზე ტყორცნა ბადრო. ი. ნიგრინოვამ გაიმარჯვა სიგრძეზე ხტომაში (652 სმ), მაგრამ ამ ნახტომის დროს ძლიერი ზურგქარი ჰქროდა. როცა ქარი ჩამდგარი იყო, ნიგრინოვას საუკეთესო ნახტომი 642 სმ-ს უდრიდა. მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა მ. ჰიუბნეროვამ I ადგილი დაიკავა სიმაღლეზე ხტომაში — 184 სმ. ქალთა შორის ბირთვის კვრაში ბადალი არ ჰყავდა ევროპის „ზამთრის" ჩემპიონს ჰ. ფიბინგეროვას — 20,55 მ.

ორეგონის შტატის ქალაქ იუჯინის სტადიონზე მსოფლიო რეკორდსმენი დ. სტოუნზი 222 სმ სიმაღლეზე გადებულ თამასას გადაევლო. ქალთა შორის ამ სახეობაში თავი გამოიჩინა ჯ. ჰანთრიმ, რომელმაც კვლავ გააუმჯობესა აშშ-ს რეკორდი. მისი შედეგია 184,5 სმ. მსოფლიო რეკორდსმენმა ა. ფოიერბახმა 21,52 მეტრზე ჰკრა ბირთვი. ჯ. ვუდსი მეორე იყო — 21 მ.

# 21 გუნდის მონაწილეობით

ამას წინათ ჭიათურაში ჩატარდა საქალაქო თასის გათამაშება კალათბურთში გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის" გარდამავალ ჯილდოზე. ასპარეზობაში მონაწილეობდა ვაჟთა 15 და ქალთა 6 კოლექტივი.

ვაჟებში I ადგილი მარგანტრესტის დიმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველოს გუნდმა დაიკავა. ქალებში უძლიერესი იყო მე-2 საშუალო სკოლის გუნდი. ამ კოლექტივებს საპატიო ჯილდოები გადაეცათ.

**ზ. ტატიშვილი.**
(ჩვენი კორ.).

ჭიათურა.

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები

ვერონა. 29 მაისი-6 ივნისი. ევროპის ძალოსანთა 88-ე ჩემპიონატი. მონაწილეობდა 25 ქვეყნის 200-ზე მეტი სპორტსმენი.

უმსუბუქესი წონა: 1. ზ. სმალცეჟი (პოლონეთი) — 230 კგ (97,5+132,5), 2. ლ. სიუჩი (უნგრეთი) — 227,5 (97,5+130), 3. მ. მუსტაფოვი (ბულგარეთი) — 227,5 (100+127,5).

მჩატე: 1. ა. კიროვი (ბულგარეთი) — 257,5 (110+147,5), 2. ვ. ანიკინი (სსრ კავშირი) — 247,5 (110+137,5), 3. კ. პროლი (ჩეხოსლოვაკია) — 245 (105+140).

ქვემსუბუქი: 1. გ. ტოდოროვი (ბულგარეთი) — 272,5 (120+152,5), 2. დ. შანიძე (სსრ კავშირი) — 272,5 (120+152,5), 3. ნ. ნურიკიანი (ბულგარეთი) — 265 (115+150).

მსუბუქი: 1. მ. კირჟინოვი (სსრ კავშირი) — 300 (127,5+172,5), 2. ზ. კაჩმარეკი (პოლონეთი) — 297,5 (132,5+165), 3. პ. ლეველი (ავსტრია) — 280 (125+155).

ქვემსუბუქი: 1. ნ. კოლევი (ბულგარეთი) — 340 (152,5+187,5), 2. პ. ვენცელი (გდრ) — 327,5 (145+182,5), 3. ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი) — 325 (140+185).

საშუალო: 1. ვ. რიჟენკოვი (სსრ კავშირი) — 357,5 (160+197,5), 2. ტ. სტოიჩევი — 347,5 (152,5+195), 3. რ. რუსევი (ორივე — ბულგარეთი) — 345 (157,5+187,5).

ქვემძიმე: 1. დ. რიგერტი (სსრ კავშირი) — 385 (172,5+212,5), 2. ა. ნიკოლოვი (ბულგარეთი) — 385 (175+210), 3. ს. პოლტორაცკი (სსრ კავშირი) — 362,5 (162,5+200).

მძიმე: 1. ვ. უსტიუჟინი (სსრ კავშირი) — 390 (162+227,5), 2. ვ. ხრისტოვი (ბულგარეთი) — 387,5 (167,5+220), 3. ი. ციცკე (გდრ) — 370 (165+205).

ზემძიმე: 1. ვ. ალექსეევი (სსრ კავშირი) — 422,5 (187,5+235), 2. გ. ბონკი (გდრ) — 402,5 (167,5+235), 3. ს. რედინგი (ბელგია) — 400 (175+225).

გუნდური: 1. სსრ კავშირი — 94 ქულა, 2. ბულგარეთი — 87, 3. გდრ — 58.

# შურკოვსკი მეორე ადგილზეა

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ ბრიტანეთის გზებზე მიმდინარეობს ტრადიციული მრავალდღიანი „რძის რბოლა".

X ეტაპი (უიტლი — ბეი-კარლაილი, 100 მილი) მოიგო ჰოლანდიელმა შუიტენმა — 4:16.38. ფინიშთან ამავე დროში მეორე მიიჭრა პოლონელი ნოვიცკი, III ადგილზე კი ჩეხოსლოვაკიელი კონდრი გავიდა — 4:17.42.

მდგომარეობა 10 ეტაპის შემდეგ: 1. რ. შუიტენი — 32:35.43; 2. რ. შურკოვსკი (პოლონეთი) — 32:35.50; 3. ტ. ფილიპსონი (შვეცია) — 32:36.01; 4. ფ. კონდრი — 32:36.07; 5. ვან დენ ჰოეკი (ჰოლანდია) — 32:36.32; 6. ბ. იუჰანსონი (შვეცია) — 32:37.45.

გუნდურ ჩათვლაში ლიდერობს ჰოლანდიის ველოსიპედისტთა გუნდი — 97:45.54.

(საქ. ინფ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)




სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური მატჩი

15 ივნისს

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მოსკოვი)

დასაწყისი 19 ს.

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 10 საათიდან.

16 ივნისს

საქალაქთაშორისო ამხანაგური შეხვედრა

ვეტერანთა ნაკრები (თბილისი) — ვეტერანთა ნაკრები (კიევი)

დასაწყისი 18 ს.

**თბილისის სპორტულ ბაზებზე**

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. 16 ივნისი. ასკ-ს სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მაღაროელი" (ჭიათურა). დასაწყისი 18 ს. „სიჭაბუკის თასი". მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი. განათლების განყოფილება (თბილისი) — „დინამო" (თბილისი), 18 ს.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
**კონსტანტინე აბრამის ძე ბიბილური**
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02613